ყოველი წუთი სიუხვისათვის ბრძოლაში!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 119 (12631) | ოთხშაბათი, 22 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ტექნიკური კულტურეები სიმდიდრის წყაროა

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ტექნიკურ კულტურებს წამყვანი ადგილი უკავია. საქართველოს სოფლის მშვენებაა ჩაის პლანტაციები, ვენახები, ციტრუსები, დაფნა, ეთერზეთები, — თამბაქო და სხვ. სწორედ ეს კულტურებია ძირითადად სიმდიდრის დაუშრეტელი წყარო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მათ შემდგომ განვითარებას, მოსავლიანობის გადიდებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას. და როცა ეს საკითხი დღეს სოფლად ნომერ პირველ საქმედ იქცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ტექნიკური კულტურების შემდგომ განვითარებასა და გავრცელებას, მოსავლიანობის გადიდებას. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ტექნიკური კულტურები მეტად მომგებიანია, რენტაბელურია.

ეს განსაკუთრებით კარგად აქვთ შეგნებული ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებს! მათ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ზღუდეები ჯერ კიდევ შარშან აიღეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეჩერდეთ და ერთი ადგილი ვეკიენთოთ. 180.000 ტონა ჩაის ფოთლისათვის ბრძოლა დაგვიანებული გაზაფხულის გამო შარშანდელთან შედარებით წელს მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სიძნელეებთან ბრძოლა შიშველი ხელებით როდი გვექნება. ჩვენმა მეჩაიეებმა წელს მიიღეს უფრო სრულყოფილი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო“. კონსტრუქტორთა ეს შესანიშნავი ნახელავი დიდი წარმადობით უნდა გამოვიყენოთ, რაც დიდად დაგვეხმარება ჩაის ფოთლის სიუხვისათვის ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის მთისა და ბარის მშვენებაა ვენახი. აბა დასახელეთ საქართველოში სოფელი, სადაც ვაზი უდიდესი სიყვარულით არ სარგებლობდეს. შარშან საქართველოს მევენახეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ახლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სწორედ ახლა სჭირდება ვაზს აგრონომის ხაზრიანობა და მევენახის ფაქიზი ხელი. ვინც დროზე უწამლებს ვაზს, ვინც ზრუნავს არ მოაკლებს ვენახს, ის შემოდგომაზე უხვად მოირთველიანებს, მან ნაშრომი ერთიათად დაუფასდება.

მიმდინარე წელს 16.379 ჰექტარი ვენახები უნდა გაშენდეს. უკვე გაშენებულია 1.300 ჰექტარამდე. ხილნაღის საწარმოო სამმართველოში გაშენდა 300 ჰექტარზე მეტი ვენახები, ბოლნისის საწარმოო სამმართველოში — 172 ჰექტარი, გურჯაანის — 122 ჰექტარი, ყვარლის — 108 ჰექტარი, ხაშურის — 101 ჰექტარი. სულ მცირე ფართობებზე გააშენეს წელს ვენახები ზესტაფონის, გორის, სარჩერის, მაიაკოვსკის, დუშეთის და სხვა საწარმოო სამმართველოებმა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავალების შესრულების საქმე საფრთხეშია, მაგრამ ამ საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელებს უნდა შეეგასსენოთ, რომ ვენახების გაშენების მიმდინარეობის წლის გეგმა შემოდგომაზე აუცილებლად უნდა გაანადგურონ. ამასთან არ უნდა დაივიწყოს ნერგების ხარისხი და აგროტექნიკური გადები.

არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე ჩაის პლანტაციებისა და დაფნის გაშენების საქმეში. ჩაის პლანტაციები წელს 3.000 ჰექტარი უნდა გაშენდეს, ჯერჯერობით გაშენებულია 200 ჰექტარი, ხოლო დაფნა ნაცვლად 470 ჰექტარისა გაშენებულია 65 ჰექტარი. შემოდგომაზე ეს დავალებაც დროზე უნდა შესრულდეს.

თამბაქოსა და ეთერზეთოვან კულტურებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საპატიო ადგილი უკავია. მეთამბაქოობა რენტაბელური და შემოსავლიანი დარგია, მაგრამ მეტად შრომატევადია. სამუშაოთა მეტი წილი ხელით სრულდება. „საქსოფლტექნიკამ“ უნდა იზრუნოს თამბაქოს ჩითილების სარგავი მანქანებისა და თამბაქოს სანემსი მოწყობილობის სრულყოფისა და ამ მანქანებით მეურნეობათა უზრუნველყოფისათვის.

როგორ მიმდინარეობს თამბაქოს რგვა? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, გარდა ყვარლისა და ბოლნისის საწარმოო სამმართველოებისა, ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობს. აჭარის ასს რესპუბლიკაში 1.500 ჰექტარიდან დარგულია 50 ჰექტარი, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 7.100 ჰექტარიდან 600-მდე ჰექტარი. აქვე უნდა შევახსენოთ აჭარისა და აფხაზეთის მეთამბაქოეებს შარშანდელი მწარე გაკვეთილი, როცა მათ თამბაქოს ნედლეულის დამზადების გეგმები ვერ შეასრულეს. ნაკლოვანებებს მთლიანად პარაზიტულ დაავადებებს ვერ დავაბრალებთ. მთავარია ჯანსაღი ჩითილის გამოყვანა, ზუსტ აგროვადებში გადარგვა და პლანტაციების მოვლა-პატრონობა. უამისოდ წარმატებას ვერ მივაღწევთ და მერე მიზეზების ძებნა ამაო იქნება.

ეთერზეთოვანებს სურნელოვანი პლანტაციები შეარქვეს. აჯანლიყის ვარდის, გერანისა და რეპანის პლანტაციებში მუშაობა არა მარტო სახალისოა, არამედ სარგებლიანიც. ამ კულტურებიდან ყოველწლიურად დიდ შემოსავალს იღებენ თელავის, ყვარლის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, გალის, ოჩამჩირისა და ლანჩხუთის რაიონების მშრომელები. წელს ეს კულტურები 2.286 ჰექტარი უნდა გაშენდეს. ამ საქმეში პირველობენ ყვარლისა და ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოები. სულ მალე დაიწყება აჯანლიყის ვარდის კრეფა. ამ ძვირფასი ნედლეულის არცერთი გრამი არ უნდა დავკარგოთ. მთავარია ვარდის აგროვადებში კრეფა.

საწარმოო სამმართველოების, პარტიული კომიტეტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, სოფლის ყველა მშრომელის ვალია ყოველწლიურად არ მოაკლონ ყურადღება ტექნიკურ კულტურებს, სამუშაოთა მექანიზაციით იბრძოლონ მოსავლიანობის გადიდებისათვის, სიუხვისათვის, რენტაბელობისათვის.

ყველანაც ვასახელოთ ჩვენი რესპუბლიკა, მეჩაიეებო, მევენახეებო, მეთამბაქოეებო, მეციტრუსეებო! — ასეთია სადღეისო ამოცანა.

ჩაის პირველი პროდუქცია

ჭ ა ხ ა რ ა ძ ე. (საკ. კორ.). გზრიანთის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი კარგად მოემზადა და ორგანიზებულად დაიწყო ჩაის ფოთლის მიღება-დამუშავების სეზონი. ფაბრიკამ ამ დღეებში რამდენიმე ტონა ჩაის ნედლეული გადამუშავა და 2 ტონაზე მეტი საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვა.

ფაბრიკის მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ სეზონში მიიღონ და გადამუშაონ 2.800 ტონა „მწვანე ოქრო“ და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 30 ტონა ჩაი.

ნ ყ ა ლ ტ უ ბ ო ს. ჩაის ფაბრიკა (დირექტორი დ. სარიშვილი) ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ფოთლის მიღებას. ფაბრიკამ 20 მაისამდე მიიღო და გადამუშავა 250 ტონა „მწვანე ოქრო“.

უკვე გამოშვებულია პირველი პროდუქცია — 40 ტონამდე. აქედან 20 ტონა უმაღლესი ხარისხისაა. 17 მაისს ფაბრიკამ თბილისის ჩაის გადამწოდ ფაბრიკას გაუგზავნა 15 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი. (ხაკ. კორ.).

მოდის „მწვანე ოქრო“

● ჩაქვის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა ჩაის კრეფა. 20 მაისს მოკრეფილია 231 ტონა „მწვანე ოქრო“, ხოლო 21 მაისს — 300 ტონამდე. ჩაქვის მეურნეობამ ერთ დღეს მოკრიფა 51 ტონა ჩაის ფოთოლი, ოჩხამურის მეურნეობამ — 37 ტონა, ცეცხლაურის — 13 ტონა, სალიბაურის — 10 ტონა.

● ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა გაშლილი ფრონტით დაიწყეს შეტევა იმისათვის, რომ აანაზღაურონ გვიან დაწყებული სეზონის გამო გამოწვეული დანაკლისი. 20 მაისს მოკრეფილია 190,7 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს მაშინ, როცა შარშან კრეფის მაღალი ტემპის დროს — 26 მაისს მოიკრიფა 186 ტონა.

ყველაზე წინ მიდის ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 16,5 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 90 ტონაზე მეტი. დაწინაურდნენ ხაბუმის ლენინის სახელობის, დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის და ხორშის კოლმეურნეობები.

● ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები გაშლილი ფრონტით შეუდგნენ უხვად შემოსული ჩაის ფოთლის კრეფას. ყოველდღიურად ტონებს ტონები ემატება. საკმარისია ითქვას, რომ საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა მარტო 20 მაისს მოკრიფეს 530 ტონა „მწვანე ოქრო“. ამ დღეებში უფრო გაძლიერდება კრეფის ტემპი და ყოველდღიური კრეფა 600-700 ტონას მიაღწევს.

დღემდე სულ მოკრეფილია 1.700 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ამ საქმეში დაწინაურდნენ ინგირის, ონარის, ხეცერის, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობები და სოფლების რუხის, კორცხელის, საკინჯაოს, ლიის, კახათის, ახალსოფლის, ხიბულის კოლმეურნეობები.

დავაჩქაროთ თესვა!

ჩ ვ ე ნ ი მ ი მ ო ხ ე დ ვ ა — ლენინის სახელობის, ზესტაფონის, საწარმოო სამმართველოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

თ ე ლ ა ვ ი ს საწარმოო სამმართველოში კარტოფილი დასათესი აქვთ 30 ჰექტარი. მიუხედავად ასეთი მცირე გეგმისა, აღნიშნული სამუშაო შესრულებულია მხოლოდ 36,4 პროცენტით. **გურჯაანის** საწარმოო სამმართველოში ეს სამუშაო შესრულებულია 40 ტოკოცენტით, **ბარდანის** — 88,2, **ბოლნისის** — 73,7, **თეთრიწყაროს** — 61,2, **დუშეთის** — 48,2, **გორის** — 80, **ხაშურის** — 63,8, **ახალციხის** — 95,2, **ახალქალაქის** — 27,8, **სარჩერის** — 93,3, **ამბროლაურის** — 32, **მახარაძის** — 76, **სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში** — 27,1, **აბაშის ასს რესპუბლიკაში** — 38,3, **აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში** — 58,5 პროცენტით.

როგორც ჩანს, დაგვიანებულმა გაზაფხულმა მინდვრის სამუშაოები შეაფერხა. ახლა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ საწარმოო სამმართველოების პარტკომებს, საწარმოო სამმართველოებს. მათს ორგანიზატორულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული თესვის შემჭიდროებულ ვადებში დამთავრება.

დაიწყო სილოსის დამზადება

თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო. (ტელეფონით). კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პირუტყვი უზრუნველყონ რაც შეიძლება მეტი უკეთესი საკვებით. მეცხოველეებმა უკვე დაიწყეს ბუნებრივი ბალახების მიწისზედა დასილოსება. ამ სამუშაოს რაიონში პირველად სოფელ კოდის და ბორბალოს კოლმეურნეობები შეუდგნენ. მათ უკვე დასილოსეს 700 ტონამდე ბუნებრივი ბალახები.

სულ მალე რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მასობრივად დაიწყებენ მიწისზედა სილოსის დამზადებას.

მეთამბაქოეები დაწინაურდნენ

— ვ ა ლ ა ზ ე ადრე დავრგოთ 3.000 ჰექტარი თამბაქო, მივცეთ სამშობლოს მეტი მალალხარისხოვანი თამბაქო! — ასეთი დევიზით გაჩაღდა შეჯიბრება ბოლნისის საწარმოო სამმართველოს მეთამბაქოეებმა. ბოლნისელი მეთამბაქოეები აკეთებენ იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ შეასრულონ. მაისის მეოთხე ხუთდღიურისათვის დარგულია 1.665 ჰექტარი თამბაქო.

ამ სამუშაოებში დაწინაურდა ალგეთის საბჭოთა მეურნეობა. აქაურმა მუშებმა გადაწყვიტეს წელს 500 ჰექტარი თამბაქო დარგონ. რგვა გაჩაღდა. გუშინ მეურნეობის მუშებმა 18 ჰექტარი თამბაქო დარგეს და დღეურ ნორმას 5 ჰექტარით გადაჭარბეს. („კომ.“ კორ.).

შენთვის, სამშობლოვ!

გ ე გ მ ა — ვ ა დ ა მ დ ე

ს ო ხ უ მ ი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს შვიდწლედის მეხუთე წელს სოხუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი. თვითეული მუშა, ბრიგადა, საამქრო ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება 16 მაისისათვის გაანადგა. გეგმის ზევით გამოშვებულია 4.300 მეტრი აბრეშუმის მზა ქსოვილი. განვლილ ოთხ თვეში შრომის ნაყოფიერების დავალება აქ 11.7 პროცენტით ამაღლდა.

ახალი ტექნიკა ნავსადგურში

ბ ა თ უ მ ი. (საკ. კორ.). ერთი წლის წინათ ბათუმის ნავსადგურის კოლექტივი უძლური იყო წვიმასა და ცუდ ამინდში დაეცალა ფქვილით, შაქრითა და სხვა პროდუქტებით დატვირთული გემები. იყო შემთხვევები, როცა დატვირთული გემები უკან ბრუნდებოდნენ იმის გამო, რომ გადმოტვირთვას ვერ ახერხებდნენ.

ახლა ნავსადგურში დგას ფოლადის ორი უზარმაზარი ნაგებობა, რომლებიც პირველია არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში, ეს არის ე. წ. გადასატვირთავი ხიდი.

ამ დღეებში დამონტაჟეს კიდევ ერთი გადასატვირთავი ხიდი. იგი პირველზე უფრო სრულყოფილი და მაღალი წარმადობისაა. ახლა ბათუმის ნავსადგურში ორი ხიდი მუშაობს და შეუფერხებლად წარმოებს გემების განტვირთვა.

მ ე ვ ა გ ო ნ ე თ ა წ ა რ მ ა ტ ე ბ ა

ხ ა შ უ რ ი. (საკ. კორ.). თანამოსაქმეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ხაშურის სავაგონო დეპოს კოლექტივი, რომელსაც მუშაობის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

ბ ო რ ჯ ო მ ი. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის მინის ქარხნის ცვლებსა და ბრიგადებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეო წლის პირველი ნახევრის სასახელოდ დამთავრებისათვის. მაისის თხუთმეტ დღეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 113 ათასი ცალი ბოთლი.

ენერგიული შრომით

ფიდელ კასტროს რუსი საბჭოთა კავშირში

კ ი ე ვ ი, 20 მაისი. (საკდესი). დღეს უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და მისი თანმხლები პირები ესაუბრნენ უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

საუბრის დროს, რომელმაც დიდი გულითადობისა და ძმური შეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნინმ კუბელ სტუმრებს გააცნო უკრაინის წარმატებანი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა ხალხების შეგობრულ ოჯახში, რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული ბრძოლა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ ამხანაგები ვ. ვ. შჩერბიცკი, დ. ს. კოროტჩენკო და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

საუბარს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. ბაზიკინი.

კ ი ე ვ ი, 21 მაისი. (საკდესი). უკრაინის დედაქალაქის ისტორიული ადგილებისა და ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრ, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად, პარტიის კიევის სოფლის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი. ი. სტაფიიჩუკის თანხლებით გაემგზავრა კიევის ოლქის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში.

სოფელ უსტინოვკის თავში სტუმრებს ასობით კოლმეურნე შეხვდა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ფ. ნ. ტრომსამ კუბელ ამხანაგებს გააცნო, თუ როგორ ვითარდება მეურნეობა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში კოლმეურნეობის გამგეობაში ამხ. ტრომსამ ამხანაგ ფიდელ კასტროს აჩუქა სხვადასხვა კულტურის საელიტო თესლების ნიმუშები, რომლებიც კოლმეურნეობაში გამოჰყავთ.

ამხანაგი კასტრო იყო მეცხოველეობის ფერმაში, ესაუბრა კოლმეურნეებს.

კოლმეურნე დ. ბ. ბონდარენკომ სთხოვა კუბის პრემიერ-მინისტრს პატივი სცეს მას და შინ ეწვიოს. სუფრასთან გაიმართა გაცსოველებული საუბარი საკოლმეურნეო საქმეებზე, საარტელო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ თქვა:

— ძალზე მომეწონა ეს კოლმეურნეობა, მომეწონა მისი მშრომელები.

საპატიო სტუმარი გულთბილად გამოეთხოვა ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის არტელის მხვნელ-მთესველებს, უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობაში, უხვი მოსავალი მიმდინარე წელს.

დღეს უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ სადილი გამართეს ამხანაგ ფიდელ კასტროს პატივსაცემად.

სადილის დროს ნ. ვ. პოდგორნინმ და ფიდელ კასტრომ სიტყვები წარმოთქვეს.

სადილმა განსაკუთრებული გულითადობისა და ძმური შეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

კ ი ე ვ ი, 21 მაისი .(საკდესი). დღეს უკრაინის დედაქალაქმა გულთბილად გაიცალა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც მოსკოვს გაემგზავრნენ.

მ ო ს კ ო ვ ი, 21 მაისი. (საკდესის კორ.). გულთბილად გამოეშვიდობა სტუმართმოყვარე კიევს და დღეს მოსკოვს დაბრუნდა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო რუსი.

კუბის რევოლუციის ბელადმა მაგრად ჩამოართვა ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ნ. კოსიგინს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს რ. ი. მალინოვსკის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის საბჭოს მინისტრს ს. ა. სკაჩკოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ე. სემიჩასტნს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს საბჭოთა კავშირის მარშალს ნ. ი. კრილოვს, სხვა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც მას შეხვედნენ.

ფიდელ კასტრომ მოკლედ უამბო ა. ნ. კოსიგინსა და სხვა საბჭოთა ამხანაგებს, თუ როგორ იმოგზაურა უკრაინის დედაქალაქში. ამ მოგზაურობამ სასიამოვნო მოგონებანი დაუტოვა მას. იგი ძალიან კმაყოფილია, რომ სტუმრად იყო უკრაინელებთან.

ფიდელ კასტროსთან ერთად დაბრუნდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. ბაზიკინი, რომლებიც მას თან ახლდნენ კიევში. დაბრუნდა აგრეთვე კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი.

პროფკავშირული ფორუმი

მ ო ს კ ო ვ ი, 20 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში გაიხსნა ნავთობის, ქიმიური და მრეწველობის მონათესავე დარგების მშრომელთა IV საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენცია მოიწვია პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებამ, რომელიც პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციაში შედის.

მოსკოვში ჩამოვიდა 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციებია იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან.

საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ტ. ნ. ნიკოლაევა. შემდეგ მოხსენება წაიკითხა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ჟორჟ ვანტატა. მან დაწვრილებით ილაპარაკა თუ როგორ იბრძვიან მშრომელები შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირულ უფლებათა გაფართოებისათვის. მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო პროფკავშირულ ერთობას, სოციალურ პროგრესს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის ბრძოლას. არ ყოფილა არც ერთი საერთაშორისო მოვლენა, ხაზი გაუსვა ჟორჟ ვანტატამ, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ ჩვენს პროფკავშირებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, კონფერენცია ხუთ დღეს გაგრძელდება.

თანამშრომლობა ატომური ენერგიის დარგში

მ ო ს კ ო ვ ი, 21 მაისი .(საკდესი). აქ ხელი მოაწერეს მემორანდუმს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის შესახებ მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში 1963-1965 წლების განმავლობაში.

მემორანდუმში გათვალისწინებულია, კერძოდ, სპეციალისტთა ჯგუფების ვიზიტების გაცვლა მეტად ფართო პროგრამით. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებს შეეძლებათ ურთიერთ ეწვევნონ სამეცნიერო დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ კვლევას ენერგეტიკული ატომური რეაქტორების, პლაზმის ფიზიკისა და მართული თერმოატომური, სინთეზის მაღალი და დაბალი ენერგიების ნაწილაკების, მყარი სხეულის ფიზიკის, რადიოაქტიური ნარჩენების გაწმენდისა და ჩამარხვის დარგში, დამუხტული ნაწილაკთა აჩქარებლების დაპროექტებისა და ექსპლოატაციის, მედიცინაში ატომური ენერგიის გამოყენების დარგში.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო დაწესებულებანი ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას შვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების შესახებ. ნაგარაუდევია გაიმართოს ორივე ქვეყნის მეცნიერთა გაერთიანებული კონფერენციები. ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია — დაბალ ენერგიათა ატომური ფიზიკის საკითხებზე — გაიმართება საბჭოთა კავშირში, მეორე კონფერენცია — რადიოაქტიური ნარჩენების გაწმენდისა და ჩამარხვის საკითხებზე — შეერთებულ შტატებში.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მ. პეტროსიანცმა და ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარემ გლენ სიბორგმა.

უკანასკნელი საათის

თათბირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ წევრთა მიღებისა და კომუნისტების პერსონალური საქმის განხილვის საქმეებზე.

თათბირზე მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიღების შესახებ განცხადებათა წინასწარ განხილული და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა შტაბგარეშე კომისიების თავმჯდომარენი, სარეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნების მოადგილეები, მთლიანი რაიონების პარტიული კომიტეტების მდივნების მოადგილენი, რომლებიც პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის საქალაქო კომიტეტების და პარტიის ქალაქ თბილისის რაიკომთა საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, აგრეთვე ერთიანი პარტიული ბილეთისა და პარტიული სტატისტიკის სექტორების გამგეები.

თათბირზე განხილულ საკითხები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში 1962 წელსა და 1963 წლის პირველ კვარტალში ახალ წევრთა მიღების შედეგები და მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში“ და „საქართველოს კომუნისტური პარტიის პარტიული კომიტეტების მუშაობის პრაქტიკა კომუნისტების პერსონალურ საქმეთა განხილვის საქმეში“.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ი. გ. რთველიაშვილმა, მეორე საკითხზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. გელაშვილმა.

მოხსენებათა შესახებ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ი. სარაჯიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე — დ. დიასამიძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. ხაჩატუროვი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. ვარდანაშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. შარტავა, ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ს. პეტროსიანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიღების შესახებ განცხადებათა წინასწარ განმხილველი და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა შტაბგარეშე კომისიების თავმჯდომარეები: შ. ჯაფარიძე, ი. სმენტანინი, მ. ყორანაშვილი.

თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს და გასწიეს დიდი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიღებულთა ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის უზრუნველყვეს უფრო შეგნებული, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული ადამიანების მიღება, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, მუშაობენ მატერიალური წარმოების სფეროში.

რესპუბლიკის ბევრი პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაცია დიდად ზრუნავენ პარტიის ახალ შევსებისათვის, იმისათვის, რომ კომუნისტებმა უფრო აქტიურად იბრძოლონ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად.

ამასთან თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ბევრ პარტიულ კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიღების საკითხის გადაჭრაში, პარტიული რიგების შემადგენლობის რეგულირებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა აღზრდაში.

აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი კომუნისტების პერსონალური საქმეების განხილვაში.

თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიღების შესახებ განცხადებათა წინ

პარტიული ცხოვრება

ფართო აქტივი სწავლობს

პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მშრომელთა პოლიტიკური განათლება. მართლაც, რომ იყო ახალი ცხოვრების აქტიური და შეგნებული მშენებელი, აუცილებელია ყოველდღიურად იმაღლებდე საკუთარ იდეურ-თეორიულ დონეს, ღრმად ეუფლებოდე მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

პოლიტიკური განათლებისადმი ღრმა ინტერესს იჩენენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კომუნისტები და უპარტიო აქტივი. „საქსოფლტექნიკის“ კომუნისტებმა გაითვალისწინეს, რომ ცხოვრებამ წინა პლანზე დააყენა მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორია და რომ ახლანდელ პირობებში, თუ დაუფლებული არა ხარ კონკრეტულ ეკონომიკას, ძნელია კვალიფიცირებულად წარმართო საქმე, აქტიურად იბრძოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. გათვალისწინეს რა ეს, „საქსოფლტექნიკის“ კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები გაერთიანდნენ კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში და უკვე მეორე წელია წარმატებით ეუფლებიან ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს. სულ სამი სემინარი ჩამოყალიბდა, რომლებშიც გაერთიანებულია 40 კომუნისტი და 30 უპარტიო ამხანაგი.

სემინარების ხელმძღვანელებს შ. თათარაშვილს, ა. მიქაძეს, ა. რუხაძეს კარგად აქვთ შეგნებული თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანები, რაც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენილებაში. ისინი თეორიულ სწავლებას, პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას სემინარის მეცადინეობებზე მოხერხებულად უკავშირებენ სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ საკითხებს. „საქსოფლტექნიკის“ წინაშე მდგომ ამოცანებს. ამით აღწევენ იმას, რომ თეორიული საკითხების ღრმად შესწავლა თავის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს სემინარის მსმენელთა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაზე.

სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან სემინარების მსმენელები ლ. ჯიქიძე, ა. ბერიძე, ი. წერეთელი, რ. კახიანი, ვ. ლალიაშვილი, ნ. სარჯველაძე, ი. ანდრონიკაშვილი, გ. გოგიჩაიშვილი, ლ. ღლონტი, გ. ჭარაქაშვილი და სხვები.

სამივე სემინარში მსმენელებმა დიდი ინტერესით შეისწავლეს სკკპ ცენტრალობით ემზადება, ფართოდ, უნარიანად იყენებს თვალსაჩინოებას, ღრმად და დამაჯერებლად განუმარტავს მსმენელებს საკითხებს.

ამ წარმატებათა მიუხედავად, კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლი. არც თუ იშვიათია სემინარების მეცადინეობის გრაფიკის დარღვევის ფაქტები, ზოგიერთი მსმენელის მიერ სემინარის მეცადინეობის გაცდენისა და დაგვიანების, მეცადინეობაზე პასიურობისა და მოუმზადებლად გამოცხადების შემთხვევები.

ამ დღეებში „საქსოფლტექნიკის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ განიხილა პოლიტიკური განათლების ქსელში სწავლების მიმდინარეობის საკითხი და დასახა ქმედითი ღონისძიებანი კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების, სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად და მაღალიდეური დონეზე დამთავრების უზრუნველსაყოფად. კრებაზე აღინიშნა, რომ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში (პრობაგანდისტი ლ. ქურდოვანიძე) ბეჯითი მეცადინეობით გამოირჩევიან მსმენელები ნ. ჩერნიკოვა, ვ. შავერდოვა და შ. ჩიკაკეხინა. კრებაზე ისიც ითქვა, რომ ცალკეული მსმენელები, კერძოდ, ს. პოლოსიანი, ს. მიკირტიჩიანი და ა. ჩალოიანი, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პოლიტიკურ სწავლებას, მეცადინეობისათვის არ ემზადებიან და ხშირად აცდენენ მეცადინეობას. კრებაზე გაკიკრიტიკეს აგრეთვე ლ. ბაბალაშვილი, გ. მურვანიძე და კერპიანი, რომლებიც ეფექტურ საშუალებათა იჩენენ, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, და მოსთხოვეს მათ გაძლიერონ მუშაობა, უფრო აქტიურად ჩაებნენ სემინარებისა და წრის მუშაობაში, ნაყოფიერად გამოიყენონ დარჩენილი დრო და წარმატებით დამთავრონ სასწავლო წელი.

როგორც ცნობილია, თეორიული კონფერენციების მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში. შარშან მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოვაწყეთ თეორიული კონფერენცია თემაზე „ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში“. წელს თეორიული კონფერენცია ჯერ არ მოგვიწყვია, რაც ჩვენი მუშაობის ნაკლია. ამ ნაკლს ახლა ვასწორებთ. ამჟამად ჩვენთან გაჩაღებულია მზადება თეორიული კონფერენციისათვის, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება. კონფერენციაზე განიხილავენ 6 მოხსენებას, რომლებშიც გაშუქებული იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი.

„საქსოფლტექნიკის“ კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სემინარიული სწავლებაში მაქსიმალურად ჩაებან უპარტიო ამხანაგები, შემდგომშიც განაგრძონ კონკრეტული ეკონომიკის საფუძვლიანად შესწავლა, განუხრელად იზრუნონ საკუთარი იდეურ-თეორიული დონის სისტემატური ამაღლებისათვის.

ა. ბერუაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.

მოწინავე ხაზზე

სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კონფერენციაზე

სსრ კავშირის პროფკავშირები დიდი მოვლენის წინაშე დგანან—მიმდინარე წლის ოქტომბერში ისინი შეიკრიბებიან თავიანთ XIII ყრილობაზე.

ყრილობას წინ უძღოდის ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის VI რესპუბლიკურმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა საკითხები, რომლებიც აღელვებს შრომის ადამიანებს.

მომხსენებელი — სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. მიროანიაშვილი და მოკამთეები: დ. ვიოშვილი (ამეტის სატყეო კომბინატის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. დუჩიძე (თბილისის საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე), ა. მარჯანიშვილი (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე), მ. იაშვილი (მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვები ლაპარაკობდნენ იმ დიდ პრაქტიკულ მუშაობაზე, რასაც ეწევიან პროფკავშირები კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში. ორატორები თავიანთ გამოსვლებში არ ერიდებოდნენ იმ ნაკლოვანებათა კრიტიკას, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი პროფკავშირების — მშრომელთა ამ ყველაზე მასობრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს სისტემაში შემავალმა საწარმოებმა 1962 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,1 პროცენტით შესრულეს. ხე-ტყის გამოზიდვის გეგმა შესრულდა 101,6 პროცენტით. შარშან გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 2.171.000 მანეთის პროდუქცია. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ახალი ძალით გაიძალა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეხუთე წლის ზღუდეების ასაღებად, რის შედეგადაც სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველომ საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 101,5 პროცენტით გაანაღდა.

ყველა ამ მიღწევაში, დიდსა და მცირეში, პროფკავშირების წვლილიც არის.

პროფკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობის მნიშვნელოვანი უბანია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო გაქანება მიიღო და მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტზე მეტი მოიცვა. ყველა ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო, ბრიგადა, სამშენებლო ორგანიზაცია, სატყეო მეურნეობა, უბანი ჩაბმულია ურთიერთთან და მოსთვისაკენ საწარმოებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. კომუნისტური შრომის საპატიო სახელწოდება მინაპებული აქვს 29 ბრიგადასა და ერთ საამქროს, რომლებიც აერთიანებენ 400-ზე მეტ კაცს. კომუნისტური შრომის დამკვრელია 210 კაცი, ხოლო ამ მაღალი სახელის მოსაპოვებლად იბრძვის მრავალი ასეული ადამიანი.

შეჯიბრების მსვლელობაში დაიბადა ბევრი ახალი პატრიოტული ინიციატივა, რომლებიც მიმართულია სრულყოფის, ტექნიკური დაჩქარებისა და მოწინავეთა ლების დანერგვისაკენ. მაგალითად, ბევრ საწარმოში ეფექტურად ფუნქციონირებს ბრიგადული ფორმა, რომელიც ეხმარება ადამიანებს, ერთმანეთისგან განსხვავებულ ადგილებში, ერთ-ერთ ადგილზე, ერთ ადგილზე, ერთ ადგილზე,

საერთაშორისო ლიტერატურული ფონდი
ლენინური ალმასის ჯილდოს ლაურეატი
ცხოვრება

ნამდვილი ჭრიუმფი

ბუენოს-აირესი. 21 მაისი. (საკ-დესის კორესპონდენტი ი. არხიპენკო იტყობინება:

ხუთი დღეა არგენტინის უდიდეს დახურულ სპორტულ დარბაზში „დუნა-პარკში“ კონცერტებს მართავს სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით.

პირველი კონცერტის დროს მოფაშისტო ელემენტები ცდილობდნენ კონცერტის ჩაშლას და სცენაზე ისროლეს რამდენიმე ცრემლსადენი გრანატი. მაგრამ ეს პროვოკაცია ჩაიშალა. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

დარბაზი, რომელიც 8.000 კაცს იტევს, ყოველთვის ხალხით არის გაჭედილი. დედაქალაქის გაზეთების, თეატრალური კრიტიკოსებისა და მაყურებელთა აზრით ბუენოს-აირესში ასეთი წარმატება არ ჰქონია არც ერთ საზღვარგარეთელ ანსამბლს.

„დიდებული, უბადლო, ლამაზი, რიტმული ცეკვები“ — ასე ახასიათებს საზოგადოება საბჭოთა მსახიობების ოსტატობას.

ი. მოისეევის ანსამბლი, აღნიშნავს გაზეთი „რასონი“, — „ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და შეზღაბილი ანსამბლია, როგორიც ოდესმე ყოფილა საკასტროლოდ ჩვენს სცენაზე. ანსამბლში მაღალი ტექნიკა შეხამებულია გამომსახველობასთან და ქმნის განუმეორებელ, ცხოველმყოფელი ოპტიმიზმით აღსავსე სპექტაკლს“.

საბჭოთა ანსამბლის კონცერტები უდიდეს მოვლენად გადაიქცა არგენტინის კულტურულ ცხოვრებაში. ეს არის მკაფიო დემონსტრაცია არგენტინელი ხალხის მეგობრული გრძნობებისა საბჭოთა ხალხისადმი. სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები სპეციალურად ჩამოდიან დედაქალაქში, რომ ნახონ საბჭოთა მსახიობების ხელოვნება. ადრე დილიდან გვიან საღამომდე გრძელი რიგები დგას საბილეთო სალაროებთან.

სუკარნოს გამოსვლა

ჯაკარტა, 20 მაისი, (საკდესი). დღეს ინდონეზია აღნიშნავს ეროვნული გაღვიძების დღეს. ამის გამო ბანდუნგში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა პრეზიდენტი სუკარნო.

ჩვენ ვერ მოვიპოვებდით თავისუფლებას, ჩვენი ხალხი რომ არ ყოფილიყო ერთიანი, თქვა სუკარნომ, რომელიც სახალხო საკონსულტაციო კონგრესის გადაწყვეტილებით სამუდამოდ პრეზიდენტად არის დანიშნული.

სუკარნომ შემდეგ თქვა, რომ სოციალიზმის აშენება ხანგრძლივი და ძნელი პროცესია, რომელიც მოითხოვს მთელი ხალხის ძალების მობილიზაციას. ის, ვინც ფიქრობს, რომ სოციალიზმი შეიძლება აშენდეს ერთ-ორ წელიწადში, დიდად ცდება, თქვა მან. „ჩვენ სუკარნომ შეწყვიტა სიტყვა და ტრიბუნაზე მიიწვია ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე აიდიტი, რომელმაც მხარი დაუჭირა პრეზიდენტის აზრს და ამავე დროს გამოთქვა რწმენა, რომ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით სოციალიზმის აშენების პროცესი „არ იქნება ძალიან ხანგრძლივი“.

იზრდება იტალიის კომპარტიის რიგები

რომი, 20 მაისი. (საკდესი). იტალიის სხვადასხვა ქალაქიდან კვლავ მოდის ცნობები კომუნისტურ პარტიაში ახალი წევრების შესვლის შესახებ. სლომბარდიის ოლქის პარტიული აპარატის კრებაზე მილანში ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელი ხანს ამ ოლქის კომუნისტურმა ფედერაციებმა თავიანთ რიგებში 8.700 კაცი მიიღეს. მარტო მილანში — ჩრდილოეთ იტალიის ყველაზე დიდ სამრეწველო ცენტრში — 5.200 კაცმა მიიღო კომუნისტური პარტიის საწევრო გილეთი.

აპოძიედდა აგუნგის ვულკანი

კვლავ ამოქმედდა აგუნგის ვულკანი (ინდონეზია), რომლის ამოფრქვევის შედეგად მიმდინარე წლის მარტში დაიღუპა ბალის კუნძულის 1.500 მცხოვრები. ახალი ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა 103 კაცი. გავარვარებულმა ლავამ, აგრეთვე ვულკანიდან ამოფრქვეულმა ქვებმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა. (საკდესი).

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **ცეილონი** დაიწყო ბავშვების მასობრივი აცრა პოლიომიელიტის წინააღმდეგ. ამისათვის იყენებენ საბჭოთა კავშირიდან მიღებულ ვაქცინას. აცრილან ყველა ცეილონელ ბავშვს 8 თვიდან 3 წლამდე.

□ **ძალაქ** ნოვი-სადში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 18 ქვეყანა. საბჭოთა კავშირს გამოფენილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რამდენიმე ნიმუში. ბაზრობა დათვალიერა პრეზიდენტმა ტიტომ.

□ **ავსტრიის** დედაქალაქში დაიწყო ტრადიციული ვენის კვირეულები — ხელოვნების ფესტივალი, რომელიც 16 ივნისამდე გაგრძელდება. ფესტივალის დროს ვენის თეატრებში ყოველდღიურად გაიმართება კონცერტები, რომლებზეც მაყურებელნი ავსტრიის, ინგლისის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო მუსიკალური კოლექტივებისა და სოლისტების შესრულებით მოისმენენ მოცარტის, ჩაიკოვსკის, ვაგნერის, პროკოფიევის, იოჰან შტრაუსისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებებს. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მსახიობები — გალინა ვიშნევსკაია და მსტისლავ როსტროპოვიჩი.

□ **პანოიში** ამოშავდა ხილის კონსერვის ქარხანა, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტთა დახმარებით აშენდა. ქარხანა ყოველწლიურად 8 ათას ტონა კონსერვს გამოუშვებს საექსპორტოდ. (საკდესი).

არ მოეწონათ...

ბონი, 20 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პრესამ დაბეჭდა შინაარსი საბჭოთა მთავრობის ნოტისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნდესტაგმა დაამტკიცა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის ხელშეკრულება. ბონის პროპაგანდა და უწინარეს ყოვლისა მთავრობასთან დაახლოებული პრესის ორგანოები ნოტას მტრულად შეხვდნენ. გაზეთმა „დოიჩი ციატუნგმა“, რომელიც დასავლეთ გერმანიის მონოპოლიათა ორგანოა, დაუშვა უზენი გამოხდომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. განსაკუთრებით არ მოსწონს გაზეთს ნოტის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ ბონს ატომური შეიარაღება მიაჩნია სუვერენიტეტის კრიტერიუმად და გატაცებულია რევანშისტული იდეებით. გაზეთი ბრალად სდებს საბჭოთა კავშირს იმას, თითქოს აპირებდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „იზოლაციას“.

ომის ისჯერიის ჯუვეობაში

დასავლეთის სახელმწიფოების ზურგის მზადება სამოქალაქო თავდაცვისათვის

ომის ფსიქოზის, ისტერიის გაღვივების ყოველი ახალი ტალღა, როგორც ცნობილია, იმპერიალისტური წრეებისა და მათი მესვეურების ახალი ზღაპრული მოგების მომასწავებელია. ამიტომ არის, რომ ატომური ომის გაჩაღების მთელი უაზრობის მიუხედავად, დასავლეთის „ატომურ სახელმწიფოებში“ ასეთი ომის აქტიური საშუალებების გამალებულ წარმოებასთან ერთად უკანასკნელ წლებში დიდი აურზაურია ატეხილი ამ სახელმწიფოების ზურგის მომზადების ირგვლივ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზურგის მომზადების საკითხებზე განსაკუთრებული ფუსფუსი კენედის მთავრობამ დაიწყო. ზურგი უნდა მომზადდეს, ამბობენ დასავლეთელი სპეციალისტები, ისე, რომ მან, ჯერ ერთი, შეასრულოს თავისი ადრევე ცნობილი როლი ფრონტის კვებისა და მეორე, გაუძლოს გამანადგურებელ ატომურ დარტყმებს, ასე თუ ისე ბრუნოს მილიონობით დაზიანებული ადამიანების განკურნებისა და მომვლისათვის.

დასავლეთის სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღება უმეტესად მიაყრობილია მტრის უეცარი საჰაერო თავდასხმისათვის შესაძლო პასუხის გაცემის საკითხებზე, ასეთი შემთხვევებისათვის ვარგისი თავდაცვის სისტემის შექმნაზე. მაგრამ ასეთი თავდასხმების განხორციელებისათვის საჭირო საშუალებათა ტექნიკური სრულყოფის ყოველ ახალ საფეხურზე სამოქალაქო თავდაცვის ახალი პრობლემები და პრინციპები ჩნდება. მაგალითად, ამ 4-5 წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის დაცვის ძირითად საშუალებად თვლიდნენ სტრატეგიულ ევაკუაციას.

ამ ერთი შეხედვით მეტად მარტივი ღონისძიების განხორციელებისათვის შესაფერი პირობების, უწინარეს ყოვლისა აუცილებელი საგზაო ქსელის შესაქმნელად საჭიროდ იქნა ცნობილი 16 მილიარდ დოლარად ღირებული პროგრამის განხორციელება. ამერიკელი იმპერიალისტები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ომის დაწყების მომენტიდან მათი ქალაქების თავზე პირველი ბომბების აფეთქებამდე სულ ცოტა 30-40 საათი დრო რჩებოდა მოსახლეობის სტრატეგიული ევაკუაციისათვის. ამიტომ თავშესაფრების მშენებლობის საჭიროებაზე სერიოზულად არავინ ფიქრობდა.

ეს იყო დრო, როდესაც საჰაერო თავდასხმებისათვის საჭირო ტრანსპორტირების საშუალებათა სისწრაფე ჯერ ბგერის სისწრაფეს არ გაბოროტებოდა (დაახლოებით 1.200 კილომეტრი საათში). შემდგომში, ამ საშუალებათა სისწრაფე თანდათანობით იზრდებოდა. ბგერაზე უსწრაფესი ბომბდამშენების გამოჩენამ ამერიკელთა დროის ბიუჯეტი 2-4 საათამდე შეამცირა და ეს მათი ვარაუდით მაინც თითქოს საკმაო რჩებოდა მოსახლეობით „ტაქტიკური ევაკუაციის“ გასატარებლად.

შემდეგ, როდესაც წარმომადგენელთა პალატის სპეციალურმა ქვეკომიტეტმა ყურადღებით შეისწავლა ეს საკითხები, ცხადი გახდა, რომ მტრის მიერ საკონტინენტთაშორისო და გლობალური რაკეტებით უეცარი თავდასხმის შემთხვევაში სამოქალაქო თავდაცვის განკარგულებაში მხოლოდ წუთები რჩებოდა და მოსახლეობის არავითარი ევაკუაცია აღარ ხერხდებოდა.

ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო თავდაცვის ფედერალურმა სამმართველომ უკვე 1958 წლისათვის დიამეტრალურად შეცვალა აზრი: მოსახლეობის ევაკუაციის ნაცვლად საჭიროდ იქნა ცნობილი მთელ სახელმწიფოში მიწისქვეშა თავშესაფრების მდიდარი ქსელის შექმნა (თვითეული 1.000 კაცის ტევადობისა). ამასთან, მშვიდობიანობის პირობებში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ამ თავშესაფრების გამოყენება გარაჟებად, კინოთეატრებად, საავადმყოფოებად და სხვ.

როგორი უნდა იყოს ეს თავშესაფრები, რა დაჯდება მათში ერთი ადამიანისათვის საჭირო ადგილის შექმნა? ესეც გამოიანგარიშეს ამერიკელმა სპეციალისტებმა. ცნობილია, რომ ყოველი თავშესაფარი უნდა უძლებდეს დიდი დარტყმითი ტალღებით გამოწვეულ გარკვეულ დატვირთვას. და აი თავშესაფარში, რომელიც გაუძლებდა ზედაპირის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე 0,7 კილოგრამი დატვირთვას, ერთი კაცისათვის საჭირო ადგილის შექმნა ჯდება 165 დოლარი, ე. ი. თუ თავშესაფარი გათვალისწინებული იქნებოდა 100 კაცისათვის, მისი საერთო ღირებულება 16.500 დოლარი იქნებოდა.

მაგრამ როგორი ატომური ბომბის დარტყმითი ტალღა უნდა გაითვალისწინო, რომ თავშესაფრების გამძლეობა შეარჩიოთ? ამის გამოანგარიშება და გათვალისწინება თითქმის შეუძლებელია და აქ ვერავითარ კანონზომიერებას ვერ შექმნი. საკიროა აიღო კონკრეტული ქალაქი და ატომური ბომბების კონკრეტული სიმძლავრე. შეერთებული შტატების სამოქალაქო თავდაცვის მევსეურნი ასეც მოიქცნენ: აიღეს ქალაქი სენტ-ლუისი (დაახლოებით 2 მილიონი მოსახლეობით). ამ ქალაქის ტერიტორიის დიამეტრი 24 კილომეტრს აღწევს. ჯერ გამოთვალეს, რა მოჰყვება მის ცენტრში 20 მეგატონის სიმძლავრის წყალბადის ბომბის აფეთქება. გამოთვლამ ცხადყო, რომ ასეთი ბომბის დარტყმითი ტალღა უკვე 5 კილომეტრი რადიუსზე ქმნის კვადრატულ სანტიმეტრზე 2,1 კილოგრამ დატვირთვას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რადიუსის შიგნით დაინგრეოდა ყველა თავშესაფარი, რომელსაც აღნიშნულ დატვირთვაზე ნაკლები გამძლეობა ექნება, ანუ დაიღუპება სენტ-ლუისას მოსახლეობის 39 პროცენტი.

60 მეგატონიანი წყალბადის ბომბის აფეთქების ადგილიდან იმავე რადიუსის მქონე წრის შიგნით დაინგრეოდა ყველა თავშესაფარი, რომელიც კვადრატულ სანტიმეტრზე 5,2 კილოგრამზე ნაკლებ დატვირთვას უძლებს, რასაც მოჰყვებოდა სენტ-ლუისას მოსახლეობის 56 პროცენტის დაღუპვა. მაგრამ რა მოხდებოდა, რომ ამ ქალაქში საერთოდ არ ყოფილიყო თავშესაფრები და მოსახლეობა შეფარებულიყო ჩვეულებრივ სარდაფებში, რომელთა გამძლეობა ჩვეულებრივად კვადრატულ სანტიმეტრზე 0,14 კილოგრამს არ აღემატებოდა? მაშინ 20-მეგატონიანი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპებოდა სენტ-ლუისას მოსახლეობის 90 პროცენტი, ხოლო 60-მეგატონიანი ბომბის აფეთქება გამოიწვევდა ქალაქის მთელი მოსახლეობის დაღუპვას.

თავშესაფრების გამძლეობის აყვანა რა დონემდე შეიძლება? ტექნიკურად შესაძლებელია, რომ თავშესაფრების გამძლეობის მაჩვენებლები შეეჯიბროს სულ დიდი წყალბადის ბომბის დარტყმითი ტალღით გამოწვეულ დატვირთვას და ეს ნამდვილად გადაარჩენდა კიდევ დიდი ქალაქების მოსახლეობას. ამას ადასტურებენ ამერიკელთა შემდეგი მონაცემები: ორმილიონიანი მოსახლეობის მქონე ქალაქი რომ საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფილი იყოს კვადრატულ სანტიმეტრზე დაახლოებით 9 კილოგრამისადმი გამძლეობის მქონე თავშესაფრებით, მაშინ 60-მეგატონიანი ბომბის აფეთქების შემთხვევაშიც კი მოსახლეობის 70 პროცენტი გადარჩებოდა.

მაგრამ ზემოაღნიშნულ წინადადებას მძლავრი და ძვირი თავშესაფრების ფართო ქსელის შექმნის შესახებ შეერთებული შტატების კონგრესმა დუმილით აუარა გვერდი — საქმე ეხებოდა 60 მილიარდი დოლარი ხარჯების გაწევას...

საჭიროდ იქნა მიჩნეული უფრო ადვილად განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავება. და აი ამერიკელმა მეცნიერებმა როუფელერმა და ჰეიტერმა დაასაბუთეს, რომ ატომური თავდასხმის შედეგად დაზიანებული მათი ქვეყნის მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობის ნახევარი (25-35 მილიონი კაცი) რადიაქტიური დანალექების მსხვერპლი იქნება. ამიტომ უმჯობესად ჩაითვალა ძვირი თავშესაფრების ქსელის ნაცვლად აგებულიყო უფრო მსუბუქი და იაფი თავშესაფრები, სწორედ ამ რადიაქტიური დანალექებისგან დაახლოებით 100 მილიონი ადამიანის დასაცავად. მაგრამ ამ ღონისძიების შესასრულებლადაც საჭირო აღმოჩნდა 20 მილიარდამდე დოლარი.

1961 წლის დასაწყისისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე შექმნილი იყო 1 მილიონამდე ასეთი დანიშნულების საოჯახო თავშესაფარი, 2.500 საოლქო და საქალაქო თვითმმართველობაში განხორციელებული იყო ღონისძიებანი მოსახლეობის დასაცავად, ხოლო 38 შტატში დამთავრებული იყო მზადება ომის დროს ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულების შეუფერხებელი მუშაობისათვის.

უმაღლესი სასწავლებლების ნახევარზე მეტს შეძენილი აქვს დოზიმეტრიული აპარატურა. 25 ათასმა მასწავლებელმა გაიარა სპეციალური მომზადება სამოქალაქო თავდაცვის სახელმწიფო სკოლებში. 20 მილიონმა კაცმა მიიღო სპეციალური ინსტრუქცია, როგორ მოაწყოს საოჯახო თავშესაფარი რადიაქტიური ნალექებისგან თავის დასაცავად. მაგრამ ყველა ამ ღონისძიებათა მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში სულ უფრო და უფრო მატულობს უნდობლობისა და გულგრილობის გაწწყობილება. სამოქალაქო თავდაცვის სწავლების დროს ქალაქების მოსახლეობა სულ არ აქცევს ყურადღებას საგანგაშო სიგნალებს. ამან გამოიწვია მეტად სასტიკ ღონისძიებათა გამომუშავება: იმ პირების პატიმრობა 30 დღემდე და ჯარიმება 500-მდე დოლარით, ვინც ასეთ უგულებელყოფას გამოიჩენს.

დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო თავდაცვის სერიოზულ საზრუნავს შეადგენს „ტაქტიკური ევაკუაციის“ ადგილზე ადგილობრივი — ადგილობრივ ადგილზე — ეფექტიანი შეფარების შესახებ შეტყობინება, გაფრთხილებისათვის საჭირო სისტემის შექმნა, დასავლეთელ სპეციალისტთა — [illegible] — [illegible] თავდასხმის შემთხვევაში მათს განკარგულებაში დარჩენილი დროის შესახებ შესაძლოა სრულიად უსაგნო გახდეს, თუ მთელი ეს დრო სიგნალების გადაცემას მოხმარდება და მოქმედებას ვეღარ მოასწრებენ ვერც შემსრულებელი ორგანოები და ვერც მოსახლეობა. განსაკუთრებით რთულია სოფლის რაიონებში შეტყობინების სისტემის შექმნა.

დასავლეთის სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ბევრი რთული ტექნიკური პრობლემის წინაშე დგას, რომელთა გადაწყვეტას აძნელებს **ჩვენი გლობალური რაკეტების** არსებობა და საბჭოთა კავშირში **მტრის საკონტინენტთაშორისო რაკეტების ჰაერში განადგურების** პრობლემის გადაწყვეტა. სამოქალაქო თავდაცვა ხომ მით უფრო იოლად გაართმევს თავს თავის ამოცანებს, რაც უფრო ნაკლები იქნება ატომური დაზიანების კერები. ამის მისაღწევად კი საჭიროა, რომ მათი იგერესიის ობიექტმა რაც შეიძლება ზუსტი პასუხი გასცეს თავდამსხმელს.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, იმპერიალისტური სახელმწიფოების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სულ უფრო და უფრო ღრმად რწმუნდება სოციალისტური ქვეყნების კეთილშობილური, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის შეშმარიტებაში, ამ ქვეყნების დიდ სამხედრო ძალიერებაში და რწმენას კარგავს როგორც გამანადგურებელი ატომური ომის მზადებისადმი, ისე ამ მზადების ერთ-ერთი გამოვლინების — სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებისადმი.

გენერალ-მაიორი
ივ. შაიშმელაშვილი.

ბრძოლის აღმავლობა

ტოკიო, 20 მაისი. (საკდესი). 15-17 მაისს გაიმართა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი. გაზეთი „აკახატა“ დღეს აქვეყნებს პლენუმის რეზოლუციას და გადაწყვეტილებას, რომ გადაიდოს პარტიის მე-9-ე ყრილობა.

პლენუმის ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ იაპონიის კომუნისტური პარტიისა და დემოკრატიული ძალების წარმატება თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ამასწინანდელ არჩევნებში ბრძოლის აღმავლობასა და ხალხის შეგნების ზრდას მოწმობს.

გასული არჩევნების შედეგად თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებში კომუნისტ დეპუტატთა რიცხვმა 893-დან 1140-მდე მიაღწია. ახლა კომუნისტებს 746 ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ნაცვლად (არჩევნებამდე), 897 ორგანოში ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები.

ამ შედეგებს, აღნიშნულია რეზოლუციაში, ამერიკა-იაპონიის რეაქციის ძალების წინააღმდეგ იაპონელი ხალხის სასტიკი ბრძოლის პირობებში მივაღწიეთ.

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საჭიროა დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის ამოცანები დაკუკავშიროთ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური წყალქვეშა ნავების შემოსული „ფ-105“ თვითმფრინავების განლაგების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

პარტიის მე-9 ყრილობის გადადების შესახებ გადაწყვეტილებაში, რომელსაც გაზეთი აქვეყნებს, ნათქვამია, რომ პარტიის წესდების თანახმად წელს უნდა გაიმართოს პარტიის ყრილობა. მეექვსე პლენუმი მხედველობაში იღებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მდგომარეობაში ქვედა პალატის მომავალ არჩევნებს და საჭიროდ ცნობს მთელი პარტია დარაზმოს ამ არჩევნებში მეტი წარმატებისათვის საბრძოლველად. ხელმძღვანელობდა რა ამით პლენუმმა დაადგინა ყრილობის მოწვევა გადაიდოს არჩევნების დამთავრებამდე.

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმის გადაწყვეტილებანი

□



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ეს სურათი გადაღებულია ოჰანესბურგის ერთ-ერთ ქუჩაზე. აფრიკელები, ქვეყნის მკვიდრი მცხოვრებნი, მოულებული არიან ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. ამ ქვეყანაში გამეფებულია ველური რასობრივი დისკრიმინაცია. **ხურათზე:** ამ ზანგ მოზარდებს არ შეუძლიათ სკოლაში იარონ. ბავშვობიდანვე ძალებულები არიან სხვადასხვა შავ სამუშაოს ასრულებდნენ, რომ ლუკმაპური იშოვნონ.

ალჟირის მთავრობის გადაწყვეტილება

ალჟირი, 20 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ე. პოპოვი გვატყობინებს:

ალჟირის მთავრობამ ამას წინათ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — გარდაქმნას სამრეწველო საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო ფერმებში თვითმმართველობის კომიტეტები.

პირველ ხანებში ფრანგ მფლობელთა მიერ მიტოვებულ საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო ფერმებში გადაუდებელ სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის ხელისუფალნი ნიშნავდნენ თვითმმართველობის კომიტეტებს. ახლა, მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებში კომიტეტებს დემოკრატიული გზით აირჩევენ. საწარმოს მშრომელთა საერთო კრება აირჩევს თვითმმართველობის კომიტეტს, ხოლო მსხვილ მეურნეობებსა და საწარმოებში აირჩევენ აგრეთვე შუალედურ რგოლებს — მუშათა საბჭოებს.

საკდესის კორესპონდენტმა დათვალიერა ქალაქ ბორჯ-მენაიელის მახლობლად მდებარე კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო ფერმა. წინათ ფერმა ეკუთვნოდა ფრანგ ტარდიეს, რომელსაც მჰიდრო კავშირი ჰქონდა ოას-ელებთან. ამ მეურნეობას 1200 ჰექტარი ფართობი უკავია. თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ამარ ამრანიმ თქვა, რომ ახლა მშრომელები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ამიტომ ძნელი არ იქნება ხელმძღვანელობის არჩევა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები იწონებენ მთავრობის გადაწყვეტილებას.

ადის-აბებას თათბირი

ადის-აბება, 21 მაისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი ს. ლოსევი იტყობინება:

20 მაისისათვის დასახული საბოლოო პლენარული სხდომა აფრიკის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა, რომელიც აქ მიმდინარეობს, გადმოტანილია დღეისათვის. მინისტრები მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებებს აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურების მომავალი კონფერენციის რეკომენდაციათა შესახებ. ეს კონფერენცია 22 მაისს უნდა გაიხსნას.

პრეს-კონფერენციაზე სენეგალის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მინისტრთა თათბირის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარემ ტიანმბა თქვა, რომ მომავალი კონფერენციის რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აფრიკის დამოკიდებულ ტერიტორიებზე. ამ დახმარების კონკრეტულ ფორმებს განსაზღვრავს სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია.

აფრიკის ქვეყნები, ტიამის სიტყვით, მოითხოვენ გაფართოვდეს მათი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, კერძოდ, უშიშროების საბჭოში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში.

პერუს პატრიოტთა კონფერენცია

ლიმა, 21 მაისი. (საკდესი). ლიმაში გაიხსნა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის კონფერენცია. კონფერენციის 150 დელეგატი ესწრება პერუს ყველა რაიონიდან.

კონფერენცია განიხილავს შემდეგ საკითხებს: ეროვნული განთავისუფლების ფრონტის საგანგებო ყრილობის მოწვევა; წესდების გამოცვლა; ფრონტის მონაწილეობა მომავალ საყოველთაო არჩევნებში.

მდგომარეობა თურქეთში

კაირო, 21 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ანკარაში არმიის ოფიცერთა ჯგუფმა ყოფილ პოლკოვნიკ თალათ აიდემირის მეთაურობით და ანკარის სამხედრო სასწავლებლის მსმენელთა მხარდაჭერით სცადა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება თურქეთში.

ანკარის რადიომ ღამე გამოაცხადა, რომ „თურქეთის არმიამ ანკარაში გადატრიალება მოახდინა და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება“. ამ ცნობას ხელს აწერს სამხედრო სასწავლებლის ყოფილი უფროსი აიდემირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა 1962 წლის 22 აპრილის პუტჩში.

ამ გადაცემის ათი წუთის შემდეგ ანკარის რადიოს მეორე დიქტორმა გამოაცხადა, გადატრიალება ჩაჭრესო. მთავრობა, თქვა მან ინარჩუნებს ხელისუფლებას და მთელი არმია კვლავ მის ბრძანებებს ემორჩილებაო.

როგორც უცხოეთის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, ანკარის რადიოსადგური სამჯერ გადასულა ხელიდან ხელში. მთავრობამ ტანკები დასძრა რადიოსადგურისა და სხვა დაწესებულებათა განლაგებაში.

თურქეთის მთავრობამ დღეს განაცხადა, რომ იგი კონტროლს უწევს მდგომარეობას თურქეთში. დილას გადაცემულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ არმიაჯ ფლოტი, სამხედრო-საჰაერო ძალები და ჟანდარმერია ლოიალობას იჩენენ მთავრობისადმი. დღეს სასწავლებლის შენობაში დაპატიმრეს პუტჩის ხელმძღვანელი ყოფილი პოლკოვნიკი თალათ აიდემირი. დაპატიმრების ერთი საათის წინ, მას შემდეგ, რაც კადეტთა ჯგუფმა უარი თქვა დაეყარა იარაღი და აუზარმებში დაბრუნებულიყო, რეაქტიულმა თვითმფრინავებმა ორჯერ ჩამოყარეს ბომბი სასწავლებლის რაიონში, საიდანაც აიდემირი პუტჩს ხელმძღვანელობდა.

ანკარის რადიო მოუწოდებს მოსახლეობას — სიმშვიდე დაიცვას. მდგომარეობა თურქეთის დედაქალაქში კვლავ გაურკვეველია.

სტამბოლი, 21 მაისი. (საკდესი). თურქეთის რადიო მცირე ინტერვალებით გადასცემს თურქეთის პრეზიდენტ გიურსელისა და პრემიერ-მინისტრ ინენიუს მომართვებს, სადაც ხაზგასმულია, რომ მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერენ მთელი შეიარაღებული ძალები, სავსებით უწევს კონტროლს მდგომარეობას თურქეთში. დღეს დილით სამხედრო სასწავლებლის შენობა დაიკავეს მთავრობის ჯარებმა.

ანკარაში საკომენდანტო საათი შემოიღეს. გენერალური შტაბის უფროსი ჯევდეთ სუნაი მოუწოდებს ანკარის მცხოვრებთ — ნუ გამოხვალთ ქუჩაში, რათა არ გაუძნელოთ ჯარის ნაწილებს თავიანთი ამოცანის შესრულება, აგრეთვე ნუ შეუშვებთ სახლებში უცნობ პირებსო.

მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მთავრობის ჯარებსა და მეამბოხეებს შორის ბრძოლის შედეგად დახოცილია 7 და დაჭრილია 23 კაცი.

საერთო ბაზარი და ამერიკის შეერთებული შტატები

ჟენევა, 21 მაისი. (საკდესი). აქ საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის საკითხთა საერთო შეთანხმების ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს 50-ზე მეტი ქვეყნის ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრების თათბირი. თათბირზე მკვეთრმა უთანხმოებამ იჩინა თავი ერთი მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მეორე მხრივ „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნებს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მოლაპარაკებაზე ჰერტერმა მოითხოვა, რომ 50 პროცენტით შემცირდეს ტარიფები საგარეო ვაჭრობის ყველა საქონელზე. ამით ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვთ გადალახონ საგარეო ვაჭრობის ბარიერი მათი ქმნილების — „საერთო ბაზრისა“, რომელიც სერიოზულ კონკურენტად გადაიქცა. ექსპეიელის ქვეყნებმა გადაწყვიტეს უარყვეს ამერიკის ეს გეგმა, რამდენადაც მიაჩნიათ, რომ ამ გეგმის მიღება მეტისმეტად შემაცირებს „საერთო ბაზრის“ საგარეო ტარიფებს, ამერიკის ტარიფები კი საკმაოდ მაღალი დარჩება.

„საერთო ბაზრის“ ქვეყნებმა წამოაყენეს თავიანთი კონტრპროექტი, რომლის არსი ის არის, რომ უწინარეს ყოვლისა მიაღწიონ ამერიკის მაღალი ტარიფების შემცირებას. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა უარყვეს ექსპეიელის ეს წინადადება. დისკუსიებმა და ფარულმა შეხვედრებმა, რომლებიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, ვერც გუშინ დააახლოვა მხარეთა პოზიციები. ევროპის ეკონომიური გაერთიანების წევრმა ქვეყნებმა სცადეს ჩაფუშვისაგან ეხსნათ მოლაპარაკება და წამოაყენეს კომპრომისული პროექტი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობის მინისტრმა ერჰარდმა შეიმუშავა. ეს პროექტი გადაეცა შვეიცარიის ეკონომიკის მინისტრს შაფერს — ახლანდელი სესიის თავმჯდომარეს.

მაგრამ ამერიკის დელეგაციამ, რომელსაც ჯერ არც კი მიუღია შაფერისაგან ექსპეიელის ეს კომპრომისული წინადადება, გუშინ განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაცია ვერ დათანხმდება ამ წინადადებას იმ სახით, როგორც იგი გამოქვეყნებულია პრესაში.

ბრიუსელი, 21 მაისი. (საკდესი). აქ დაიწყო ევროპის ეკონომიური გაერთიანების სოფლის მეურნეობის მინისტრთა თათბირი.

საბჭოთა საქართველოში

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲘᲒᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მრდელების სახლის სამხატვრო საბჭომ მიიღო და დამტკიცა ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის 200 სახეობის ახალი მოდელების ნიმუშები.

თბილისში მოეწყო მოდელების გამოფენა-დათვალიერებაც. დამთვალიერებლებმა მაღალი შეფასება მისცეს მხატვარ-მოდელიერების თ. კალანდაძის, მ. ცურინოვას, ე. ატაპინის და სხვათა ნამუშევრებს. ახალი მოდის ტანსაცმელი უფრო პრაქტიკულია, გამოირჩევა სილამაზითა და სადა კომპოზიციით.

მაისის ბოლო რიცხვებში ლენინგრადში გაიმართება მხატვარ-მოდელიერთა მეთოდური თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი სპეციალისტებიც. აქვე მოეწყობა საბავშვო ტანსაცმლის ახალი მოდელების გამოფენა-დათვალიერება.

ივლისში ქართველი მხატვარი-მოდელიერები ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ახალი ნიმუშებით წარსდგებიან აგრეთვე მოსკოველთა წინაშე.

ლ. ᲔᲡᲐᲠᲗᲘᲐ.

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲐᲘ უკვე მეოთხე გამოფენაც. შემოქმედებითი ანგარიში თანამემამულეთა წინაშე. საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის თაოსნობით შექმნილმა მხატვართა ჯგუფმა ამჯერად მნახველებს წარმოუდგინა ფუნჯით თუ ფალმით გაცოცხლებული იმერეთის, რაჭის, სამხრეთ ოსეთის ლამაზი პეიზაჟები, ქუთაისის, მაიაკოვსკის, ჭიათურის, ტყიბულის, სოფლების ვარძიის, ვაჭევის ხედები, საკოლმეურნეო მინდვრების, ხეობების, ისტორიული ძეგლების სურათები, ადამიანთა პორტრეტები. ნამუშევრები თარიღდება 1962 წლის ზაფხულით.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზევით) ნ. ფალავანდიშვილი „ოსეთი“, (ქვევით) პ. ბლიოტკინი „პორტრეტი“.

ჩვენმა მხატვრებმა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში მოგზაურობით საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს საქართველოს მხატვართა კლუბში. ათვალიერებთ გამოფენის ექსპონატებს. თემა თითქმის ყველას ერთხაირი აქვს, მაგრამ ფერწერული ტილოები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ყველას თავისებური ხედვა და აღქმა აქვს და მოლბერტზეც ასევე თავისებურად გადაატანს.

ელენე ახვლედიანის ტილოება არაერთხელ დაუტაბია მნახველი, არა ერთხელ მოუხიბლავს შესანიშნავი პეიზაჟებით, ფერთა სიუხვითა და შესრულების ოსტატობით. ამჯერადაც ძნელად მოშორდებით გამოფენაზე წარმოდგენილ მის „იმერეთსა“ და „ძველი ქუთაისის კუთხეს“, „ჯვარსა“ და „მარანს მაიაკოვსკში“.

საინტერესო ნამუშევრები წარმოგვიდგინეს გამოფენის მონაწილეებმა რუსეთიდან ჯავრიშვილმა, ნატო ფალავანდიშვილმა, ეთერ ანდრონიკაშვილმა, ცისია შანშიაშვილმა, მარინე თარიშვილმა, ნათელა ღიბრაძემ, ვერა ბელეცკაიამ, თამარ გუგუშაშვილმა. მადლენა ამირხანოვამ, პეტრე ბლიოტკინმა, ტრდატ ნალბანდიანმა და მხატვართა ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ამირ კაკაბაძემ.

„ᲛᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲛᲖᲔᲡ“

ᲑᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „მე ვხედავ მზეს“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორ-დიპლომანტმა ე. ეგაძემ, მხატვრობა ეკუთვნის ი. ყიფშიძეს.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲗ ᲛᲔᲐᲛᲞᲝᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). სულ ერთი დღეა, რაც ტ. პეტროსიანი მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას ატარებს და ცხადია, უჭირს, ძალიან უჭირს ამ თავის „ახალ როლთან“ შეჩვევა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მოდის მოლოცვები ახალი ჩემპიონის სახელზე, მაგრამ ქალაქთა შორის განსაკუთრებით „გულისხმიერი“ აღმოჩნდა ორი — ერევანი და თბილისი. სწორედ აქ არის პეტროსიანის გულშემატკივრების ძირითადი „ბუდე“.

უკვე ბევრმა წამყვანმა სპეციალისტმა გამოთქვა აზრი პეტროსიანის „გამეფების“ შესახებ. ეს სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონ **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲢᲐᲚᲘ**, რომელმაც სხვებზე უკეთესად იცის, თუ როგორ ძნელია ბოტვინიკთან ბრძოლა. ტალმა თავის ინტერვიუში აღნიშნა პეტროსიანის შეუდრეკელი ხასიათი. მიუხედავად მატჩის შუა პარტიებში მსოფლიოს ჩემპიონის აშკარა უპირატესობისა, პრეტენდენტმა მონახა ძალა და შეტევის მოგერიების შემდეგ თვით გადავიდა გადამწყვეტ იერიშზე. ცხადია, უნდა აღიარებულ იქნას ბოტვინიკის მაღალი ხელოვნება ზოგიერთი პარტიის გათამაშებისას, მაგრამ საერთოდ მან ვერ შეძლო თამაშისათვის ხელსაყრელი მომართულების მიცემა.

მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის ყოფილი მწვრთნელი **ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲚᲘᲚᲘᲔᲜᲗᲐᲚᲘ** მატჩს ესწრებოდა როგორც ჟურნალისტი. მის საგაზეთო წერილებში იგრძნობოდა, თუ როგორ შესტკიოდა გული ამ გამოცდილ გროსმეისტერს პეტროსიანისათვის. ლილიენტალმა მატჩის დამთავრებისთანავე მხურვალედ მიულოცა პეტროსიანს და ხაზი გაუსვა მის უდიდეს ოსტატობას, განსაკუთრებით კი დამოლოებების გათამაშებისას.



ᲡᲐᲨᲐᲮᲠᲐᲙᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ. ნახ. ვ. აბროიანისა.

გროსმეისტერი ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲚᲔᲠᲑᲐᲮᲘ აღნიშნავს მატჩის უდიდეს დაძაბულობას. 22 პარტიიდან 8 უკანასკნელ ყაიმს თუ არ ჩავთვლით, ნებისმიერი ოპონენტი (ორივე 19 შეხვედრიდან 14 გოლიანი, ამათგან ემეტები — საბოლოდ შექმნილ პოზიციებში, რაც დიდსულოვნ ... დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა. და ბოლოს გაიმარჯვა იმან, ვისაც მეტი გამძლეობა აღმოაჩნდა. ავერბახმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ პეტროსიანს ამ შეჯიბრებაში ფიქტიურად არ ჰქონდა სუსტი ადგილი, ყოველ შემთხვევაში ეს სისუსტე შეუჩნეველი დარჩა.

ბოტვინიკი ზოგჯერ ახერხებდა აშკარა უპირატესობის მიღებას, მაგრამ მას არ ყოფნიდა გამბედულება და სიზუსტეც მის მოგებამდე მისაყვანად.

გუშინ მოსკოვში ჩამოფრინდა მსოფლიოს ჩემპიონი **ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲖᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, რომელიც მცირე შეკრებას გაივლის საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მატჩის წინ. ნონამ ჯერ კიდევ თბილისიდან მიულოცა პეტროსიანს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება, ხოლო დღეს დაესწრება მატჩის ოფიციალურ დახურვასაც, სადაც საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის დოქტორ ფოლკე როგარდის (შვეიცია) სახელით ახალ მსოფლიოს ჩემპიონს დაფნის გვირგვინით შეამკობენ.

ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ — ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲤᲘᲡᲔᲑᲖᲔ

ᲭᲐᲠᲐᲚᲘ, ჰარიპარალოო... წამოიწყო თამარმა ნელი ხმით და თან საკერავი მანქანის ბორბალი დაატრიალა. ჰარალი, ჰარიპარალოო... დაირხა ეზოში მისი მომხიბლავი ხმა. ბაღჩაში მოფუსფუსე პატარა გოგონა დედის ხმაზე გაინაბა. იქვე ჩაჯდა და გატრუნულმა ყური მიუგდო გულშიჩამწვდომ ჰანგებს...

თამარის მადლიანმა ხმამ უსაზღვროდ შეაყვარა გოგონას სიმღერა. იგი გატაცებით უსმენდა ხოლმე სოფლის მომღერლებს. „ურმულის“ შესანიშნავ შემსრულებელს სეკა გელიაშვილს ხომ გვერდიდან არ შორდებოდა. ამიტომ არავის არ გაჰკვირვებია, როცა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვერა გოგიაშვილმა მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვერა სიმღერის მასწავლებლად იწყებს მუშაობას თბილისის მე-4 მუსიკალურ ტექნიკუმში, 27-ე, 30-ე, 51-ე, 54-ე მე-10 საშუალო სკოლებში.

ზაფხულობით, როცა სკოლაში სწავლა შეწყდებოდა, ვერა მასწავლებელი მშობლიურ სოფელს მიაშურებდა ხოლმე. აქ იგი სწავლობდა ხალხურ მუსიკას, იწერდა ხალხში გაბნეულ მარგალიტებს. მას განსაკუთრებით იტაცებდა ხალხურ მუსიკალურ საკრავებზე ფოლკლორული მასალის შეკრება. თავისი მასალების მიხედვით კიდევაც დაწერა შრომა მუსიკის ძალზე.

ასე გადიოდა წლები დაუღალავ შრომაში ოჯახსა თუ საზოგადოებრივ სარბიელზე. თმაში ჭაღარა შეეპარა. ამ ცოტა ხნის წინათ ვერამ ვერამ დაკარგა მხედველობა ცალ თვალში, მეორე თვალს მხედველობის მხოლოდ 20 პროცენტი შერჩა.

— დროზე არ ვუმკურნალე თვალს. თვალისჩინს ხომ ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილება, — სინანულით ამბობს ხოლმე ამაგდარი პედაგოგი. გასულ წელს მთელმა სკოლამ დიდი პატივით გააცილა იგი პენსიაზე.

ძნელი იყო ასეთ ხვედრთან შერიგება. მისი დაუდეგარი ბუნება ვერ შეეგუა მარტოოხახურ საქმიანობას.

და აი ახლა უფრო დიდი სიძლიერით იფეთქა მასში სოფლის სიყვარულმა. მეჯვრისხევი ლამაზი და საკმაოდ ღონიერი სოფელია გორის ხალხლდან. ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა სამშობლოს ამ პატარა სოფელმა. რით არგოს სოფელს, რა გააკეთოს, იქნებ სოფლის მუზეუმი დააარსოს?

ვერამ იწყო სიარული მუზეუმებსა და ინსტიტუტებში, მწერლებსა და მსახიობებთან. ბევრმა მისი ეს ინიციატივა მოიწონა, დახმარებაც აღუთქვეს. ის კარგად ვერ ხედავს, მაგრამ ეხმარებიან. მუზეუმების თანამშრომლები, მეცნიერი მუშაკები უწერენ დოკუმენტებს, ურჩევენ სამუზეუმო მასალებს.

მეჯვრისხეველებიც ამ საქმეს სიხარულით თავმჯდომარეობენ ჟ. ხომასურიძე და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვ. მელაძე სოფლის მუზეუმს ერთი ოთახი გამოუყვეს.

ამ ამბავმა კიდევ მეტი სიმხნევე შემატა პენსიონერ მასწავლებელს. ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც ამ საქმეს მოჰკიდა ხელი, და გაგიკვირდებათ, რომ ნახოთ, რა საინტერესო და მრავალმხრივ მასალებს მოუყარა თავი. აქ ნახავთ ქართველი მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას უნიკალურ სურათსა და წიგნებს. აგერ ლავრენტი არდაზიანის წიგნები. იგი თურმე თავისი მეუღლის ეკატერინე ლოლაძის მეშვეობით ყოფილა ამ სოფელთან დაკავშირებული. სოფრომ მგალობლიშვილის მეუღლეც ნინო მღებრიშვილი მეჯვრისხეველი ყოფილა. მწერალს თავისი მოთხრობის „ჯორნაზარის“ თემა ამ სოფლის გლეხკაცების ცხოვრებიდან აუღია. მასალებს შორის ნახავთ საბავშვო მწერალ „ცვ

“ — ანა ხახუტაშვილის წიგნებსა და ფოტოსურათებს, მარიჯანის სურათს, რომლის დედა დარია ხახუტაშვილი მეჯვრისხევიდან იყო. მარიჯანს თვითონ გადაუცია ამ ენთუზიასტი ქალისათვის მეჯვრისხევში დაწერილი ლექსები.

აი სურათები გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანის“ წევრების მეჯვრისხეველების მარიამ ელიოზაშვილის, თამარ სოლოღაშვილის, ანეტა ახალშენაშვილის, მარიამ მღებრიშვილის, ნინო არსენიძისა, რომლებიც სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ სოფლის ქალთა გათვითცნობიერების საქმეში.

ექსპონატების რიცხვი დღითიდღე იზრდება. ვერა გოგიაშვილს უგზავნიან ფოტოსურათებს, წიგნებს, ნაშრომებს, მხატვრულ ნაწარმოებებს. ამ ცოტა ხნის წინათ, ეს უამრავი მასალები სოფლის კლუბში გადაიტანეს. მალე მეჯვრისხეველები იზეიმებენ თავიანთი სოფლის მუზეუმის გახსნას. ვერა გოგიაშვილის საქმიანობა კი უდავოდ კარგი მაგალითია.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა და მოწვეულ ოსტატთა ტურნირზე გათამაშდა მეთორმეტე ტური, რომელშიც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ოსტატის წოდების ორი პრეტენდენტის კალატოზიშვილისა და ჯინჯიხაშვილის პარტიამ. ჯინჯიხაშვილმა ინიციატივის მიღების მიზნით შეწირა ხარისხი, მაგრამ თეთრებმა მოიგერიეს მუქარა და მოიგეს. ეს კალატოზიშვილის მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ. გურგენიძემ მწკავე ბრძოლაში მატერიალური უპირატესობა მიიღო და სძლია კიკიასს. შიშოვს მეტად მძიმე პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ლომაიამ ვერ შეძლო მისი გამოყენება, შემდეგ უხეშად შეცდა და წააგო. ყაიმზე შეთანხმდნენ ჰალილბეილი-არნშტეინი და ბუსლაევი-შამკოვიჩი.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ პირველ ადგილს კვლავ საერთაშორისო ოსტატი შამკოვიჩი ინარჩუნებს, რომელმაც 9,5 ქულა შეაგროვა. 8,5 ქულით მეორე ადგილზეა გროსმაისტერი ხოლმოვი, მესამე ადგილზე გადაინაცვლა ოსტატობის კანდიდატმა კალატოზიშვილმა, რომელსაც 8 ქულა აქვს და დარჩენილი სამი პარტიიდან ოსტატის წოდების მოსაპოვებლად ერთი ქულა მაინც უნდა შეაგროვოს.

დღეს შედგება მორიგი მეცამეტე ტური.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის ფინიშს უახლოვდება.

როგორც ვიუწყებოდით, 21 მაისამდე გამართული შეხვედრებიდან ყველაზე მიმზიდველი და მძაფრი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის გუნდების შეჯიბრება იყო. აქ ყველაფერი ერთმა ქულამ გადაწყვიტა.

მომდევნო ტურში საბჭოთა კალათბურთელები ისვენებდნენ. საერთო ინტერესი გამოიწვია ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენლის ბრაზილიისა და იუგოსლავიის გუნდების ასპარეზობამ. ამ მატჩამდე მეტოქენი დაუმარცხებლად მოვიდნენ. თამაშის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა (51:27 მასპინძელთა სასარგებლოდ). მართალია, იუგოსლავიელმა კალათბურთელებმა მეორე ნახევარში ქულათა სხვაობა შეამცირეს, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ დააღწიეს თავი და წააგეს შეხვედრა 71:90. საფრანგეთის გუნდმა მოუგო იტალიელებს 67:63.

ამრიგად, ჩემპიონატზე მხოლოდ ორი გუნდი იბრძვის დაუმარცხებლად. ესენი არიან ბრაზილიისა და სსრ კავშირის გუნდები.

ᲢᲘᲕᲘᲗ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲖᲔ

„1000 ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ“ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲑᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ „ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲐ“, რომელიც რეგულარულ რეისებს აკეთებს კუბისაკენ, ატლანტის ოკეანეში შეხვედრიზინის გასაბერ იალქნიან ტივს. ტივზე ერთადერთი მოგზაური იყო. საბჭოთა მეზღვაურებთან საუბარში მოგზაურმა თქვა, რომ იგი ფრანგია. შეთავაზებულ დახმარებაზე მან უარი განაცხადა.

ვინ არის ეს მამაცი ადამიანი?

მოგზაური, რომელსაც ატლანტიკაში შეხვდნენ, რენე ლეკომბია, საფრანგეთის ქალაქ არკაშონის მცხოვრები.

მან უკვე არაერთხელ სცადა გადაეცურა ოკეანე — დაემყარებინა ტივით შორი მოგზაურობის რეკორდი. 31 მარტს იგი გავიდა კუნძულ გვადელუპის მთავარი ქალაქიდან პუენტა-ა-პიტრიდან. ღია ზღვაში გასვლამდე ლეკომბს ახლდნენ გვადელუპის აეროკლუბის თვითმფრინავები. 13 აპრილისათვის ტივმა „1000 საზღვარამ“ 1.200 კილომეტრი გაიარა. ამის შესახებ რადიოდეპეშა გადმოსცა ნორვეგიის ხომალდმა „გუნარ-ჯნდსენმა“, მას შემდეგ ლეკომბზე არავითარი ცნობა აღარ ყოფილა.

საბჭოთა თბომავლის ცნობამ დაამშვიდა ფრანგები. ლეკომბი ვარაუდობდა, რომ არკაშონს მიაღწევს მაისის დამლევს. ტივის კოორდინატები (ჩრდილოეთის განედის 32 გრადუსი და 50 მინუტი და დასავლეთის გრძედის 48 გრადუსი და 47 მინუტი), რომლებიც საბჭოთა ხომალდის კაპიტანმა აჩვენა, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ლეკომბი რამდენიმე დღეს იგვიანებს.

(საგენტო „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“).

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ მიდამოებში ჩატარდა მოტოკროსი საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე. სამოცამდე სპორტსმენი მონაწილეობდა ამ მიმზიდველ შეჯიბრებაში. მათ შორის იყვნენ ერევანელი მოტომრბოლები. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის დინამოელის სპორტსმენთა კოლექტივი. პირადასპარეზობაში გაიმარჯვეს კ. ცალქალამბინიძემ, ვ. ვაკანამ და ვ. ტკაჩენკომ.

□ **ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲗᲘ** შედგა საერთაშორისო ტრადიციული ველორბოლა გაზეთ „ლუმანიტეს“ დიდ პრიზზე. ამ მასობრივ ასპარეზობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და იტალიის ასამდე სპორტსმენი. შეჯიბრებაზე წარმატება ხვდათ ჩვენს ველომრბოლებს. მაგალითად, პარიზიდან რუანამდე გაიმარჯვა ა. კულიბინმა, ხოლო უკან დაბრუნებისას — ტ. ზლოტნიკოვმა. ორი ეტაპის ჯამში უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა რუმინელ გ. მოიჩანაგს.

□ **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ** საკავშირო ჩემპიონატის ათი ტურის შემდეგ გაზეთ „ტრუდის“ პრიზისათვის, რომელიც დაწესებულია „საუკეთესო ბომბარდირისათვის“, პირველ რიგში იბრძვის მინსკის დინამოელი ე. მალაფეევი (გატანილი აქვს ექვსი ბურთი). ხუთ-ხუთი ბურთი აქვთ გატანილი გ. ჰუსაინოვს, ვ. ფადეევს, ვ. სერებრიანიკოვს, ოთხ-ოთხი — შვიდ ფეხბურთელს, მათ შორის შ. იამანიძეს.

რედაქტორის მოადგილე

Გ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐ

1963 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲓᲘᲡ

ᲩᲥᲐᲠᲘ	№ 33	ᲔᲠᲔᲕᲜᲐᲛᲓᲔ	5 ს.	30 წ.	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ	14	47
„	№ 14	ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲐᲛᲓᲔ	17	05	„	10	12
„	№ 34	ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲐᲛᲓᲔ	20	50	„	16	27
ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ	№ 250	ᲤᲝᲗᲝᲛᲓᲔ	0	22	„	10	20
„	№ 281	ᲗᲔᲚᲐᲕᲐᲛᲓᲔ	0	30	„	6	09
„	№ 254	ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲛᲓᲔ	0	50	„	11	15
„	№ 277	ᲗᲔᲚᲐᲕᲐᲛᲓᲔ	6	50	„	12	16
„	№ 266	ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	7	30	„	11	13
„	№ 244	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ	13	51	„	20	30
„	№ 279	ᲗᲔᲚᲐᲕᲐᲛᲓᲔ	14	10	„	20	23
„	№ 275	ᲔᲠᲔᲕᲜᲐᲛᲓᲔ	17	04	„	5	33
„	№ 270	ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	17	26	„	21	20
„	№ 241	ᲑᲐᲥᲛᲓᲔ	17	40	„	8	30
„	№ 248	ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔ	18	02	ᲡᲐᲞᲘᲠᲝᲗᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ	4	05
„	№ 264	ᲮᲝᲠᲐᲛᲓᲔ	19	11	ᲚᲣᲬᲘ ᲠᲘᲪᲮᲕ.	19	59
„	№ 246	ᲮᲝᲮᲣᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔ	19	32	ᲙᲜᲢ ᲠᲘᲪᲮᲕ.	9	07
„	№ 185	ᲔᲠᲔᲕᲜᲐᲛᲓᲔ	20	11	ᲡᲐᲞᲘᲠᲝᲗᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ	6	05
„	№ 168	ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲐᲛᲓᲔ	21	43	„	6	46
„	№ 252	ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔ	22	07	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ	20	58
„	№ 255	ᲑᲐᲥᲛᲓᲔ	22	34	ᲙᲜᲢ ᲠᲘᲪᲮᲕ.	7	50
„	№ 186	ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲝᲓᲡᲙᲐᲛᲓᲔ	23	02	ᲡᲐᲞᲘᲠᲝᲗᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ	10	35
„	№ 84	ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲐᲛᲓᲔ	23	19	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ	5	38
„	№ 272	ᲕᲐᲚᲔᲛᲓᲔ	23	30	„	7	10
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲝ	№ 431	ᲮᲝᲚᲝᲜᲚᲔᲣᲚᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	4	30	„	7	18
					ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ	4	59
	№ 411	ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	5	05	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ	6	22
„	№ 433	ᲮᲐᲜᲐᲘᲜᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	6	07	„	9	23
„	№ 402	ᲡᲣᲠᲐᲛᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	6	14	„	9	42
„	№ 427	ᲐᲥᲢᲐᲤᲘᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	6	32	„	9	00
„	№ 404	ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲐᲛᲓᲔ	8	50	„	13	07
„	№ 415	ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	12	34	„	13	48
„	№ 406	ᲒᲝᲠᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	12	45	„	15	04
„	№ 417	ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	13	37	„	14	54
„	№ 408	ᲒᲝᲠᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	14	47	ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲛᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ	16	52
„	№ 435	ᲚᲘᲚᲝᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	15	02	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ	15	51
„	№ 408	ᲒᲝᲠᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	15	39	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ	17	45
„	№ 429	ᲐᲥᲢᲐᲤᲘᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	15	50	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ	17	54
„	№ 419	ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	16	42	„	18	01
„	№ 410	ᲒᲝᲠᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	19	53	„	21	59
„	№ 425	ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲐᲛᲓᲔ (ᲡᲔᲥᲪᲘᲐ)	20	49	„	22	08

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲓᲘᲡ

ᲩᲥᲐᲠᲘ	№ 33	ᲛᲝᲮᲘᲚᲝᲕᲘᲡᲐᲛᲓᲔ	5 ს.	16 წ.	ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ	9	20
„	№ 13	ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲛᲓᲔ	12	22	„	19	45
„	№ 34	ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ	20	36	„	11	00
ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ	№ 280	ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲐᲛᲓᲔ	4	00	„	22	20
„	№ 249	ᲤᲝᲗᲝᲛᲓᲔ	4	30	„	18	45
„	№ 253	ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐᲛᲓᲔ	5	00	„	19	08
„	№ 243	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐᲛᲓᲔ	6	53	„	0	20
„	№ 256	ᲑᲐᲥᲛᲓᲔ	7	00	ᲙᲜᲢ ᲠᲘᲪᲮᲕ.	18	00
„	№ 251	ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲛ